MES 9 21 0000689396

08/07/2021

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2021 წლის 24 ივნისს.**

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
თამარ ვეფხვაძე - სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი;
ლელა სალაყაია - ა(ა)იპ - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის სენატის წევრი;
გოდერძი ბუჩაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის“ ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი, სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი განათლების მიმართულებით;
დავით ბოსტოღანაშვილი - შპს "აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, შპს "აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი;
ეკა ეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

იური მღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კულტურის მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
მორის შალიკაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის "კრიმინალისტიკისა და კრიმინოლოგიის" სასწავლო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
მარინა ქორიძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორი;
ზურაბ გვიშიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოწვეული წევრები:

თამარ ვალიშვილი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ამავე დეპარტამენტის პროფესორი;
მაია გოგაშვილი -შპს "საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის პროფესორი;
ლელა მასხულია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის კლინიკური ცენტრის ექიმი;
ეკატერინე ადამია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი;
ირმა ბურდულაძე - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის ლიცენზირებისა და აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ხათუნა ზალდასტანიშვილი - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამნეტის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;
ნინო ნანავა - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი
ივანე აბიათარი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მედიცინისა და საზოგადოებრივი

ჯანმრთელობის კვლევითი ინტიტუტის დირექტორი,დეპარტამენტის/სკოლის - "მედიცინის სკოლა" ხელმძღვანელი,ამავე უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოციირებული პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი გიორგიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
დავით ბურჯანაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
სანდრო ტაბატაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო სარჯველაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. **შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმი**

1.დემეთ აქინი-რექტორი
2. გიორგი ცხვედიანი- ვიცე-რექტორი
3. ანი ქვათაძე-ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
4. ლეილა ახვლედიანი-მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებათა სკოლის დეკანი
5. თეა მიქელაძე-ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
6. ნანა კუტუბიძე-მარკეტინგისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური უფროსი
7. ანა ჯაფარიძე-სტუდენტთა მომსახურების და კარიერული განვითარების სამსახურის უფროსი
8. რიმა კირიაკიდი-სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი
9. ლაშა აბაშიძე-იურიდიული სამსახურის უფროსი
10. მარიამ ფარტენაძე- საქმისწარმოების სამსახურის უფროსი

2. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

1. რ. მაიკლ ქაუგილი — უნივერსიტეტის პრეზიდენტი;
2. ნინო ტორონჯაძე — უნივერსიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი;
3. ზაზა რუხაძე — უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში;
4. ქეთევან ჯინჭარაძე — უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
5. გიორგი გაბისონია — მედიცინის სკოლის ვიცედეკანი ხარისხის უზრუნველყოფის დარგში;
6. შორენა ტუკვაძე — დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები)

1. **შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმი**

ლინ კილბრაიდი
ხოსე მარია პეინადო ჰერეროსი
ლანდა ლურსმანაშვილი
მაია ბიწკინაშვილი
დავით მაკასარაშვილი

2. **შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი**

ირინა ლობჟანიძე
დავით სიხარულიძე
სალომე ვორონოვი
ლილი ბიბილაშვილი
თინათინ გაბრიჩიძე

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 15:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ზურაბ ორჯონიკიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭომ

ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

1. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ვიზიტის შედეგად შედგენილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და შესაბამის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აღნიშნულ დასკვნას და შესაბამის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. უსდ-ს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა მონიტორინგის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო მნიშვნელოვანი მოცულობის ინფორმაცია „ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ თვითშეფასების ანგარიშიდან (SER) და თანდართული დოკუმენტაციიდან. იმისთვის, რომ „ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ შეფასებულიყო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მიერ მოწოდებული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, ამ მონაცემების დამუშავება მოხდა 2021 წლის 27-29 აპრილს დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტების დროს.
დაწესებულებაში ვიზიტებამდე, ექსპერტთა ჯგუფმა „ზუმში“ ჩაატარა ორი შეხვედრა მომზადების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის თითოეულ წევრს მიეცა ერთი სტანდარტი სიღრმისეულად შესასწავლად. მოსამზადებელ შეხვედრებზე მოხდა შეკითხვების ცხრილის მომზადება და შეთანხმება სტანდარტების რუკის გამოყენებით. ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაციების შემუშავებისთვის გამოიყენა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მიერ მოწოდებული შეფასების კრიტერიუმები ორივე პროგრამისთვის.
დაწესებულებაში ყველა ვიზიტი განხორციელდა დისტანციურად, გარდა „ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტში“, საავადმყოფოებსა და კლინიკებში ჩატარებული ვიზიტებისა. კომიტეტის ერთმა წევრმა პირადად ჩაატარა ეს ვიზიტი ადგილზე, ხოლო დანარჩენი წევრები მას ონლაინ შეუერთდნენ, სადაც შეეძლოთ დაესვათ საჭირო კითხვები.
პერსონალი, დაინტერესებული მხარეები და სტუდენტები ერთგულები არიან უნივერსიტეტისა და მისი მისიის მიმართ. შექებას იმსახურებს ის სამუშაო, რომელსაც პერსონალი ახორციელებს სტუდენტების ხელშესაწყობად. აშკარაა, რომ სტუდენტები და პერსონალი იღებენ მხარდაჭერას, რომ ჩაერთონ საზოგადოების საქმიანობაში. BAU–ს აქვს თანამედროვე სიმულაციური ცენტრი მედიცინის სტუდენტებისათვის, რომელთაც აქვთ დაშვება ჩადავერს–ზე, რომლის გამოყენების უფლება აქვთ საქართველოს სხვა დაწესებულებებს. „ბაუს უნივერსიტეტში“ არის წარმატების მიღწევის დიდი ამბიცია. „ბაუს უნივერსიტეტი“ ძალიან ორიენტირებულია სტუდენტებზე მათი მხარდაჭერის თვალსაზრისით, შესაბამისად, სტუდენტთა მომსახურების სამსახური შესანიშნავ დახმარებას უწევს სტუდენტებს.

იქიდან გამომდინარე, რომ ინსტიტუცია საკმაოდ პატარაა, მას ჰყავს მცირე პერსონალი, რომელსაც აღებული აქვს დიდი პასუხისმგებლობა. აღნიშნული ერთგვარ საფრთხეს წარმოადგენს, შესაბამისად აუცილებელია მიექცეს ყურადღება. რეკომენდაციების უმეტესობა სწორედ პერსონალის შესაბამისობის საკითხს ეხებოდა. აღსანიშნავია ასევე, რომ სტატუს შეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო.

ექსპერტთა მიერ განსაზღვრული რჩევების თუ რეკომენდაციები ემსახურებოდა დაწესებულების მიერ დასახული მიზნების მიღწევას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია დაეთნხმა ექსპერტთა მიერ გასაზღვრულ რჩევებს, თუმცა არ გაიზიარა რეკომენდაციების განმავითარებელი ხასიათი. დაწესებულებამ პოზიცია წარმოადგინა 85 უზუსტობასთან დაკავშირებით, რომელთაგან დიდი ნაწილი ექსპერტთა მიერ იქნა გათვალისწინებული და შესაბამისად მოხდა დაკვნის პროექტის ცვლილება. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ იყო გარკვეული ცვლილებები ქართულ და ინგლისურენოვან დოკუმენტებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა პირველ რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა მენეჯმენტის საკითხებს და აღნიშნა, რომ ინსტიტუცია მოცემულ რეკომენდაციას ვეე იზიარებს, რადგან ექსპერტთა შეფასებაში არ იყო გათვალისწინებული მართველი რგოლი, როგორიც არის ხარისიხის უზრუნველყოფის სამსახური და ადმიანური რესურსების მართვის სამსახური. არი იყოს გათვალისწინებული ასევე კოლეგიური ორგანოები, აკადემიური და სკოლის საბჭო.
რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, დაწესებულება მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია არ შეესაბამება 2.1 კომპონენტის შინაარსს. არჩევის და დანიშვნის პროცესი დაცულია ყველა თანამშრომლის მიმართ. გარდა ამისა დასკვნიდან არ იკვეთებოდა თუ რომელი აკადემიური პერსონალის განმარტებას დაეყრდნო ეს შეფასება. ექსპერტთა ჯგუფის მხრიდნა არ იქნა შესწავლილის აკადემიური კონკურსების მასალები. ინსტიტუციისთვის მიუღებელი იყო ექსპერტთა დაუსაბუთებელი რეკომენდაცია, რომელიც კანონიმდებლობის დარღვევაზე მიუთითებს.
მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშრებით დაწესებულების წარმომადგეენლმა განმარტა, რომ ინსტიტუცისთვის სრულიად გაუგებარია მოცემული რეკომენდაციის განსაზღვრსი, მიზანი, ვინაიდან საჯარო რეესტრში რეგისტრირებული დებულებიდანა და აკადემიური საბჭოს დებულებიდანაც იკვეთებოდა თუ რას წარმოადგენდა აკადემიური საბჭო და რა პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მას.
მე-4 რეკომენდაცია შეეხებოდა სტუდენტების ოდენობის განსაზღვრას. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას გააჩნდა ორი დოკუმენტი, რომლიც განმარტავდა თუ რა პრინციპით ხდებოდა სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა: სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების წესი, რომელიც განსაზღვრავს ზოგად წესს სტუდენტთა კონტიგენტის გამოსათვლელად ყველა საჭირო პარამეტრებით, როგორებიცაა საგანმანათლებლო რესურსები (აუდიტორიები, ლაბორატორიები), კლინიკური რესურსები (კლინიკური შემოვლების რაოდენობა) და ადამიანური რესურსები (აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა). გარდა ამისა, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოთვლა ხდება ყოველწლიურად რაც განსაზღვრავს საჭიროებას კონკრეტული რესურსების განვითარებაში, საჭიროებისამებრ (ახალი პერსონალის აყვანა კლინიკური პარტნიორობების გაფართოება, სასწავლო ობიექტების გაფართოება). ორივე ეს დოკუმენტი წარედგინა ექსპერტთა ჯგუფის თვითშეფასების ანგარიშის დანართის სახით. შესაბამისად, უნივერსიტეტის არსებული რესურსები იძლეოდა შესაძლებლობას, რომ ასწავლოს 424 სტუდენტს, მხოლოდ იმ რესურსებით, რომლებიც 2020 წლის ბოლოს იყო წარმოდგენილი. თუმცა, უნივერსიტეტს

ადგილზე ვიზიტის მომენტისთვის 100 სტუდენტზე ნაკლები ჰყავდა და ამ რაოდენობის გაზრდა იგეგმებოდა ეტაპობივად, მომდევნო 6 წლის განმავლობაში. წლიური მონიტორინგი და KPI თანაფარდობები უზრუნველყოფს საჭირო რაოდენობის პერსონალის დაქირავებას და არსებული, დადებითზე მაღალი თანაფარდობები პერსონალის ბრუნვისა, უზრუნველყოფს, რომ დაწესებულება არის კონკურენტული დამსაქმებელი აკადემიური თანამშრომლებისთვის. ადგილზე ვიზიტის მომენტისთვის, კონტრაქტით დაქირავებული სასწავლო პერსონალის 80%-ზე ნაკლებს ჰქონდა სრული ან ნაწილობრივი სასწავლო დატვირთვა, ამგვარად, მეტი პერსონალის დაქირავება, მხოლოდ იმიტომ რომ ექსპერტთა ჯგუფის თვალში უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს მდგრადობა, ნაკლებ გამართლებულია. არსებულ პერსონალს, სრული სასწავლო დატვირთვით, შეეძლო 424 სტუდენტის სწავლება და სასწავლო პერსონალის, აკადემიური და მოწვეულის, რაოდენობისა და პერიოდების გაზრდა მკაიფიოდა იყო განსაზღვრული როგორც ინსტიტუციური სტრატეგიის ნაწილი.

რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, რომელიც გულისხმობს პერიოდონტოლოგიის სილაბუსის განახლებას, დაწესებულება ვიზიტის დროსაც დაეთანხმა აღნიშნულ რეკომენდაციას.

მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოცემული რეკომენდაცია არ ეკუთვნოდა ავტორიზაციის სტანდარტს. 3.3 კომპონენტი გულისხმობდა სტუდენტთა აკადემიურ მხარდაჭერას. თუ სტუდენტი ვერ ძლევს პროგრამას, იგი უნივერსიტეტიდან ირიცხება და უწყდება სტუდენტის სტატუსი. აქედან გამომდინარე, სტატუსის შეჩერება არ არის დაკავშირებული აკადემიურ მიზნებთან. ექსპერტთა ჯგუფმა მხედველობაში არ მიიღო სტატუს შეჩერებულ სტუდენტთა სტატისტიკა, რასაც წარმოადგენდა ფინანსური საკითხი და ვიზასთან დაკავშირებული პრობლემები.

მე-7 რეკომენდაცასთან დაკავშრებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყველა ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი უნივერსიტეტში მუშაობდა სრულ ან ნახევარ განაკვეთზე, როგორც ეს განსაზღვრული იყო მათი კონტრაქტებით. სტუდენტების დიდ ნაწილს უნივერსიტეტის შენობაში უტარდება საკონტაქტო ლექციები. აკადემიური პერსონალის ყველა წევრი ატარებს საკონტაქტო ლექციებს. მონაწილეთა უმეტესობა, კერძოდ სტუდენტები და აკადემიკოსები შეუერთდნენ ექსპერტთა ჯგუფთან ჩატარებულ გასაუბრებს „ბაუს“ შენობიდან და არ არსებობს ამის თქმის საფუძველი: „აშკარაა, რომ პერსონალის რამდენიმე თანამშრომელი იყო ადგილზე“. შეფასების ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი არ იმყოფებოდა ბათუმში და მთელი სამდღიანი „დაწესებულებაში ვიზიტის“ განმავლობაში მხოლოდ ორი წევრი ეწვია კამპუსს ერთხელ 3 საათით. ვიზიტის დროს შენობაში მოხდა ადმინისტრაციისა და პროფესორ-მასწავლებლების ოფისების დათვალიერება დამსწრე პერსონალთან ერთად.

ექსპერტთა ჯგუფი დასკვნა იმის შესახებ, რომ სწავლება ხორციელდება ინტერნეტით, განსხვავდება ინტერვიუებში მოცემული განმარტებებისაგან, ხოლო ამ არგუმენტის განმარტება ან დამადასტურებელი მტკიცებულებები არ იქნა გამოკვლეული. საქართველოს მთავრობისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განკარგულებებით, სამედიცინო განათლება ხორციელდება ჰიბრიდული ფორმით. „ბაუ“ იყო ერთ-ერთი პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელმაც დისტანციური სწავლების მოდელი ჰიბრიდულზე გადაიყვანა და ატარებს ყველა კლინიკურ, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოს, ასევე წერით გამოცდებს უნივერსიტეტის შენობაში და ლექციებს ჰიბრიდული მოდელით; სტუდენტების დიდი ნაწილი აუდიტორიაში არის, ხოლო სხვები სწავლებას დისტანციურად უერთდებიან. ამის საფუძველზე, რადგან ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში წერია, რომ უნივერსიტეტი არ იცავს სახელმწიფო რეგულაციებს, უსდ მოითხოვს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ დასაბუთებას „ბაუში“ კონტაქტური სწავლების არარსებობის შესახებ ან ექსპერტთა ჯგუფის მიერ ამ დასკვნის გასწორებას.

„ბაუს“ აკადემიურ პერსონალს ჰქონდა გარკვეული საათები საოფისე სამუშაოსთვის, რაც არის სწავლების ნაწილი და აღწერილია „აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესში“. უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის ყოფნის მონიტორინგი ხორციელდებოდა საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ამიტომ ვერ ვხედავთ რაიმე

დასაბუთებას, თუ რატომ იყო ექსპერტთა ჯგუფისთვის საეჭვო პერსონალის ყოფნა კამპუსში. არსებობს სამუშაო დატვირთვის განრიგის ოფიციალური დოკუმენტაცია, სადაც გაწერილი იყო ყველა საათი და საქმიანობა, რომელიც თითოეულმა აკადემიურმა თანამშრომელმა უნდა ჩაატაროს. ასევე, არსებობს სარეგისტრაციო ჟურნალი, რომელშიც აკადემიური პერსონალის ყოფნას ხელს აწერდა თითოეული თანამშრომელი. უნივერსიტეტის შენობაში აკადემიური პერსონალის ყოფნა მხოლოდ 2020 წელს, პანდემიის პირველი ტალღის დროს, მთავრობის შეზღუდვების შედეგად შეწყდა.

რაც შეეხება მე-8 რეკომენდაციას, აღნიშნული უნივერსიტეტისთვის გაგებარი იყო თუმცა დაწესებულება მიიჩნევს, რომ საუბარია სტატუს შეჩერებულ სტუდენტებზე. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებაში ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუს მიხედვით, „ბაუმ“ მკაფიოდ განსაზღვრა პროცედურები სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით. როგორც მკაფიოდ იქნა განმარტებული ექსპერტთა ჯგუფთან შეხვედრაზე, შეჩერების ძირითადი მიზეზები ფინანსური ვალდებულებები და საემიგრაციო პროცედურებია. უნივერსიტეტის მუშაობის პირველი წლებიდან ჩაირიცხნენ სტუდენტები იმ ქვეყნებიდან, რომელთა რეზიდენტებს პრობლემები ჰქონდათ საქართველოს ვიზის ან ბინადრობის ნებართვის მოპოვების მხრივ. „ბაუ“ ყოველთვის ეხმარება სტუდენტებს საიმიგრაციო პროცედურების გავლაში, მაგრამ „ბაუს“ ვალდებულება არ არის მისცეს მათ სავიზო ნებართვა და ეს ეკისრება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს. თუ სტუდენტებს ფინანსური პრობლემები აქვთ, „ბაუ“ ყოველთვის ეხმარებოდა მათ, მაგრამ თუ სტუდენტი ვერ ახერხებს უნივერსიტეტის ფინანსური ვალდებულებების შესრულებას, ნათელია, რომ მისი სტატუსი შეჩერდება. „ბაუს“ პერსონალის შერჩევის კომისია ყოველწლიურად ატარებდა გამოკვლევას, თუ რა არის სტუდენტების სტატუსის შეჩერების მიზეზი. დამხმარე მექანიზმები მოქმედებდა, მაგრამ ისინი ნამდვილად ვერ დაფარავდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უფლებამოსილების გარეთ არსებულ საკითხებს. სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები აღწერილი იყო თვითშეფასების ანგარიშის დანართში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უსდ მზად იყო ექსპერტთა ჯგუფისთვის მიეწოდებინა სტატისტიკური მონაცემები სტუდენტების სტატუსის შეჩერების მიზეზების შესახებ, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფმა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას არ მისცა დრო ამ საკითხის შემდგომი განხილვისთვის.

მნიშვნელოვანია ასევე მე-9 რეკომენდაცია, კერძოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გამოკითხვის თანახმად, პერსონალის შერჩევის კომისია სრულად აკმაყოფილებს სტუდენტების საჭიროებებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, „ბაუს“ სტუდენტები კმაყოფილი იყვნენ სტუდენტთა მომსახურების სამსახურის მუშაობით. მაგრამ მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არ არის ვალდებული შეაფასოს დეპარტამენტის სამუშაო. ყოველ სემესტრში თითოეული განყოფილება წერდა თავის სამოქმედო გეგმას, რომელიც უნდა დაამტკიცონ დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა. პერსონალის შერჩევის კომისიის შემთხვევაში ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ამტკიცებდა სამოქმედო გეგმას. სემესტრის ბოლოს დეპარტამენტის ხელმძღვანელები აფასებდნენ მათზე დაქვემდებარებულ პირებს საქმიანობის ანგარიშებში. ასე რომ, პერსონალის შერჩევის კომისია შეაფასა ადმინისტრაციის უფროსმა, ხოლო ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ პერსონალის შერჩევის კომისია ასრულებდა ყველა იმ ფუქნციას, რაც თავის სამოქმედო გეგმაში დაწერა. სამწუხაროდ, ექსპერტთა ჯგუფს დამატებითი ინფორმაცია არ მოუთხოვია ადმინისტრაციული პერსონალის სამოქმედო გეგმებთან, ანგარიშებთან და შეფასების შედეგებთან დაკავშირებით. უნივერსიტეტმა უკვე განიხილა თითოეული დეპარტამენტის სამუშაო დატვირთვა სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში, ხოლო ექსპერტთა ჯგუფს არ მოუთხოვია შედეგებისა და გამოთვლების მტკიცებულებები.

რაც შეეხება საერთაშორისო კავშირებს, აღნიშნული რეკომენდაცია მისაღებია, თუმცა მოხსენებაში ნათქვამია, რომ „ექსპერტთა ჯგუფს არ მიუღია რაიმე კონკრეტული მემორანდუმი

ან შეთანხმება, რომლითაც გარანტირებულია გაცვლითი პროგრამების გაზრდილი ოდენობა“. ეს სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან თვითშეფასების დოკუმენტს თან ერთვოდა ყველა მემორანდუმი. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს დამატებით არ მოითხოვა მტკიცებულებების წარდგენა. უფრო მეტიც, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვადასხვა უნივერსიტეტთან და მედიატორთან კავშირების გასაფართოებლად და რადგან ზოგიერთი მათგანი მემორანდუმების გაფორმების პროცესშია, შეხვედრების შესახებ უკუკავშირი და სურათები შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც მტკიცებულება. ხაზგასმით აღინიშნა: მიუხედავად იმისა, რომ გლობალური პანდემიის გამოწვევებმა გავლენა მოახდინა სტუდენტებისა და პერსონალის მობილობის პროცესზე, „ბაუ“ აქტიურად ეძებს პარტნიორებს, რომლებიც სტუდენტებს შესთავაზებენ ონლაინ გაცვლის შესაძლებლობებსა და კონფერენციებს.

მნიშვნელოვანია ასევე რეკომენდაცია კვლევასთან დაკავშირებით, კერძოდ „ბაუს“ თვითშეფასების ანგარიში აღწერს ყველა ლაბორატორიას, რომელიც გამოიყენება სტუდენტებისა და აკადემიკოსების კვლევისთვის. ყველა ლაბორატორია დაგეგმილი იყო თანამედროვე ლაბორატორიული სტანდარტებით და თითოეულ მათგანს გავლილი აქვს ISO-ს და შრომის უსაფრთხოების შემოწმებები. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ „ბაუ“, როგორც სასწავლო უნივერსიტეტი, არ ითვალისწინებს სადოქტორო ან პოსტსადოქტორო განათლებას და ეს არც თავის მისიაში ან სტრატეგიაში აქვს გაცხადებული. ამიტომ ეს შეცდომა უნდა გასწორდეს.

რაც შეეხება მე-12 და მე-13 რეკომენდაციებს, კვლევითი პროფილის გაზრდასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია რომ აღნიშნული ეკუთვნის არა 6.1, არამედ 6.2 კომპონენტს. დასკვნაში მოყვანილი ინფორმაცია, რომელსაც ეყრდნობა რეკომენდაცია მცდარია, რადგან გამორჩენილი იყო სულ მცირე 3 აკადემიური პერსონალის პუბლიკაციები. გაუგებარია ასევე რატომ შეფასდა მხოლოდ PUBMED პუბლიკაციების და სხვა ღია წვდომის ჟურნალები არ იქნა მიღებული მხედველობაში. ბაუ“ იყენებს როგორც შიდა, ასევე გარე რესურსებს კვლევითი შესაძლებლობების განვითარების მიზნით. „ბაუს“ აკადემიკოსების საშუალო H ინდექსია 3.8; 3 აკადემიკოსს აქვს 10-ზე მაღალი H ინდექსი , ხოლო 8 აკადემიკოსს - 5-ზე მეტი. ბაუ ერთ-ერთია იმ იშვიათ დაწესებულებებში, რომელიც ითვალისწინებს h ინდექსს აკადემიური კონკურსების შერჩევის კრიტერიუმად, პროფესორთა და ასოცირებული პროფესორების თანამდებობებზე. ბაუს აკადემიკოსები ასრულებენ სხვა ქართული ან უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სადოქტორო ნაშრომების თანახელმძღვანელების როლს, არიან დარგობრივი და/ან აკრედიტაციის ექსპერტები, ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო პროექტების კოორდინატორები.

რაც შეეხება ლაბორატორიების საკითხს, დაწესებულებას გააჩნდა 7 ლაბორატორია, მაგან 3 კვლევითი მიზნებისთვის. ლაბორატორიები დათვალიერებული იქნა მონიტორინგის დროს, რის შედეგადაც დადგინდა მოთხოვნებთან შესაბამისობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ დასკვნის ფარგლებში რეკომენდაციების ხშირად მეორდებოდა.

რაც შეეხება შესრულების ინდიკატორებს, უნივერსიტეტი იყენებდა 33 ინსტიტუციურ შესრულების ინდიკატორს, რომელთაგან 10 შეესატყვისება NCEQE-ს მიერ განსაზღვრულს. უსდ-ს საქმიანობისა და განვითარების შესრულების გასაზომად, დანარჩენები კი ბაუს მიერ შემუშავდა რანჟირებულ და ციტირებულ ლიტერატურაში აღწერილი მართვის მიზნების, განვითარების გამოწვევებისა და საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით, რაც ხელმისაწვდომი იყო და ფართოდ გამოიყენებოდა სტრატეგიულ მართვასა თუ განათლების მართვის პრაქტიკაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ზოგიერთი KPI, ეროვნული გამოცდების საშუალო ქულისთვის (KPI N12)- ეფუძნებოდა ადგილობრივ კონტექსტს, რომელიც ვლინდება საუნივერსიტეტო კვლევით იმ სტუდენტთა ქულებზე, რომლებიც მიდიოდნენ მაღალრეიტინგულ სამედიცინო დაწესებულებებში. ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა ინფორმაცია,

რომ პერსონალის შენარჩუნების თანაფარდობები, საშუალო GPA, კმაყოფილების მაჩვენებლები შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებში და ა.შ. ეფუძნება მსოფლიოში მიღებულ პრაქტიკებს, თუმცა დაწესებულებას არ სთხოვეს წარედგინათ შესაბამისი წყაროები ონლაინ გასაუბრებისას.
მნიშვნელოვანია ასევე შენობის ადაპტირების საკითხი, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეკომენდაციის კონტექსტი მიუღებელია, ვინაიდან იგი ემყარება ექსპერტთა ჯგუფის სუბიექტური შთაბეჭდილებას, არ არის დამყარებული რაიმე მტკიცებულებებზე, არ ითვალისწინებს არც ფაქტობრივ ვიზიტს კამპუსში ინფრასტრუქტურული რესურსების სტატისტიკური მონაცემებისთვის. მაგალითად, ექსპერტთა ჯგუფს შეეძლო დაენახა ახსნა-განმარტება კამპუსის გეგმების შესახებ მესამე და მეოთხე სართულებზე, საჭიროების შემთხვევაში, აფილირებულ საავადმყოფოებში დამატებითი ოთახების გამოყენება და სხვა. ბიბლიოთეკისა და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) საშუალებების გაფართოების გეგმები ასევე განხილულია შესაბამის სტანდარტებში.

სხდომის თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირათ თავიანთი პოზიციები.

სხდომის თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ყავდა 90-მდე აქტიური და ამავე რაოდენობის სტატუს შეჩრებული სტუდენტი, შესაბამისად დაინტერესდა თუ რამდენი ჰქონდა დაწესებულებას მიღება.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყოველწლიურად დაწესებულებისთვის ოპტიმალური მისაღები კონტიგენტის რაოდენობას წარმოადგენდა დაახლოებით 100 სტუდენტი. კლინიკური რესურსი გათვლილი იყო 700 სტუდენტზე, დაახლოებით 500 სტუდენტზე კი გათვლილი იყო კამპუსი, ხოლო აკადემიური პერსონალი სავსებით საკმარისი იყო დაახლოებით 450 სტუდენტისთვის.

საბჭოს წევრმა, მარინა ქორიძემ აღნიშნა, რომ ინსტიტუცია ატარებდა სასწავლო უნივერსიტეტის სახელწოდებას, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადებს, რომ აკადემური პერსონალი ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას, აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა დააზუსტა იყო თუ არა აუცილებელი კვლევითი საქმიანობა, ხოლო თუ სავალდებულოა იყო თუ არა შეფასებადი. გარდა ამისა საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენელს ესაუბრეთ მნიშვნელოვან პროექტებზე.
საბჭოს წევრმა, მარინა ქორიძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ საუკეთესო პრაქტიკაში მითითებული იყო, რომ ბაუს უნივერისტეტი ორიენტირებული იყო სტუდენტებზე მათი მხარდაჭერის მიზნებისთვის და გარდა ამისა მოცემული იყო რომ სტუდენტთა მომსახურების სამსახური შესანიშნავ დახმარებას უწევდა სტუდენტებს. შესაბამისად, მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს საკითხის განმარტებისკენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ კვლევთ საქმიაობას ჰქონდა სავალდებულო ხასიათი. აკადემიური პერსონალს, მისი საკონტაქტო საათების მიღმა მოეთხოვებოდა არასაკონტატქო საათების შესრულება, რომელიც გულისხმობდა სხვა საქმიანობებთან ერთად წლის განმავლობაშ სტატიების მომზადებას. აქედან გამომდინარე, აკადემიური პერსონალის საქმიანობა ასევე მოიცავდა კლვევით საქმიანობასაც.
რაც შეეხება კვლევითი საქმიანობის შეფასებას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველი წლის განმავლობაშ უზრუნველყოფდა ინფორმაცის მოძიებას კონკრეტული აკადემიური პერსონალის კვლევითი პროდუქტიულობის შესახებ. ინსტიტუციას ასევე მომზადებული ჰქონდა თვითშეფასების ფორმა, რომელსაც პერსონალის ავსებდა ყოველი სემესტრის ბოლოს. მოცემული დოკუმენტის ვალიდაციას უზრუნველყოფდა ხარისხის სამსახური, რის შემდეგაც წერდა ანგარიშს, რომელიც წარედგინებოდა სკოლის დეკანს. არა სააკონტატქო სათების

განმავლობაში აკადემიური საქმინობის განუხორციელებლობა ასევე იწვევდა პერსონალის ხელფასის შეკვეცას. აღსანიშნავია, ასევე რომ დაწესებულება მუდმივად უწყობდა ხელს პერსონალს განვითარებისთვის. ამ მიზნებისთვის კი ჩატარდა არა ერთი ტრენინგი თუ სემინარი.
რაც შეეხება პროექტებს, თავად პროგრამაში იყო გაწერილი, რომ მე-6 წელს უნდა განხორციელებულიყო სამეცნიერო პროექტი. სტუდენტი ვერ აიღებდა დიპლომს, თუ არ დაიცავდა სამეცნიერო პროექტს, რაც ასევე გულისხმობდა ადემიური პერსონალიდან ხელმძღვანელი პირის გამოყოფას. დაწესებულებას ავტორიზაციის პერიოდში ჰყავდა 2 სტუდენტი, რომელიც ახორციელებდა სამცნიერო პროექტს. მნიშვნელოვანია, რომ კვლევების ერთობლივად განხორციელების მიზნით, ინსტიტუცია აქტიურად თანამშრომლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტთან.

საბჭოს თავჯდომარემ განაცხადა, რომ გასაგები და ნათელი იყო სურათი და საკითხის დაზუსტების მიზნით სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს.

ექსეპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინსტიტუციის არგუმეტირებული პოზიციიდან ჩანდა, რომ თითქმოს ექსპერტთა მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების იყოს ნეგატიური ხასიათის. რეკომენდაციებს ჰქონდა მხოლოდ განსავითარებელი ხასიათი.
რაც შეეხება სტატუს შეჩერებულ სტუდენტებს, მათი რაოდენობა 90-მდე მერყეობა. სტატუსის შეჩერების მიზეზი კი ძირითად შემთხვევაში იყო ფინანსები და ვიზასთან დაკავშრებული პრობლემები. შესაბამისად ექსპერტებმა მოუწოდეს დაწესებულებას მოცემული საკითხი უფრო დეტალურად შეესწავლათ.
ასევე გასათვალისწინებელია, რომ ექსპერტები ამომწმებენ მხოლოდ არსებულ რეალობას და ამ კუთხით განისაზღვრა რეკომენდაციების სტუდენტთა ხელშეწყობის მიზნებისთვის.
რაც შეეხება მე-7 სტანდარტს, ის რომ ინფრასტრუქტურა არის საკმარისი მოთხოვნასთან შესაძლებელი იყო გამყარებულიყო მშრალი ფაქტებით, თუმცა ინტერვუების დროს აღინიშნა, რომ ლექციების უმრავლესობა ტარდებოდა კამპუსში, მათ შორის კლინიკური საგნებიც. ლექციები ასევე გადანაწილებული იყო დღეების განმავლობაში. იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტს ავტორიაციის პერიოდშვე ჰქონდა გარკვეული ხარვეზები საკითხთან დაკავშრებით, საყურადღებოა თუ როგორ მოხდებოდა აღნიშნულის უზრუნველყოფა სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის პირობებში.
აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან მიმართებიტ ექსპერტმა განმარტა, რომ ავტორიზაციის პეროოდში ხარვეზები არ იკვეთება, თუმცა სტუდენტების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში აუცილებელია განსაზღვრული რეკომენდაცების გათვალისწინება.

საბჭოს წევრმა, იური მღებრიშვილმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტშ გამოყოფილი იყო 50 000 ლარი კვლევებისთვის და დაინტერესდა თუ როგორ ტარდებოდა უნივერსიტეტის განცხადებით ფართი კლვევბი მოცემული თანხით.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბიუჯტში შიდა გრანტებისტვის გამოყოფილი იყო 50 000 ლარი, გარდა ამისა, ბიუჯეტში გამოყოფილი იყო თანხები კვლევის დაფინანსებისთვის, ხოლო ცალკე იყო გამოყოფილი სტატიის დაფინანსების, კონფერენციებისა და პუბლიკაციების თანხები. დამოუკიდებელი დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა ასევე ინსტიტუციური პროექტი, როგორსაც წარმოადგენდა კოვიდ კვლევა. კვლევიტი ბიუჯეათი საერთო ბიუჯეტის 5% წარმოადგენდა.

სხდომის თავმდჯომარემ, თამარ ზარანდიამ დააზუსტა თუ რა იყო აკადემიური პერსონალის დანიშვნასთან დაკავშირებული რეკომენდაციის განსაზღვრის საფუძვლები.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადეგენლმა განმარტა, რომ რეკომენდაცია შეეხებოდა მოწვეულ პერსონალს, კერძოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციების არ ემთხვეოდა ინტერვიუების შედეგებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დასკვნაში საკითხი ეხებოდა აკადემიურ პერსონალს, შესაბამისად მიუღებელი იყო ექსპერტთა მოცემული განმარტება.

საბჭოს წევრმა, ეკა ეკალაძემ აღნიშნა, სტომატოლოგიის პროგრამის დამატების საკითხი და მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის განმარტებისკენ. ასევე საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ როგორ იქნებოდა უზრუნველყოფილი უცხოეული მოწვეული და აკადემიური პერსონალის ჩართულობა პროგრამის განხოციელებაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტომატოლოგიური პროგრამის დამატება განსაზღვრული იყო თავად უნივერსიტეტის სტრატეგიაში. მოცემულ შემთხვევაში გამოყენებული იქნა ბრიტანეთისა და თურქეთის გამოცდილება. დაწესებულება მიიჩნევდა, რომ პროგრამა გარკვეული სიახლე იქნებოდა ქართულ ბაზარზე, ვიანიდან დაფუძნებული იყო ევროპული სტომატოლოგიის ასოციაციის დარგობრივ დოკუმენტზე და მის სწავლის შედეგებზე. ქართულ საკანონმდებლო სივრცეში მედიცინის დარგობრივი დოკუმენტი არსებობდა თუმცა არ იყო მოცემული სტომატოლოგიის, თუმცა დაწესებულებამ სხცადა მოეხდინა ევრიპული დოკუმენტის იმპლემენტაცია. მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუცია აღჭურვილი იყო 30 საფანტომო დანადგარით, სადაც ხდებოდა სტომატოლოგიის ყველა მიმართულებაში პრაქტიკის განხორციელება. ფანტომები მიუხლოებული იყო მაქსიმალურად რეალურ პაციენტთან. ის თეორიული ნაწილი, რომელსაც სტუდენტი სწავლობდა, საფანტომო დაგანდგარების საშუალებით ახდენდა შემდგომ მის პრაქტიკაში დანერგვას ზედამხედველთან ერთად. საფანტომო დანადგარები იყო კომპიუტერული. რაც შეეხება უცხოელ პერსონალს, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის დაწყებისთანავე ისინი ადგილზე იმუშავებდნენ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ განსაზღვრული ყველა რეკომენდაცია იყო განმავითარებელი მნიშვნელობის, რაც ექსპერტთა მთავარ მიზანს წარმოადგენდა. არსებული რესურსები და კვლევითი პოტენციალი ავტრორიზაციის ვიზიტის დროს იყო საწყის ეტაპზე, რაც არ იყოს საკმარისი სამომავლო მიზნების მიღწევისთვის.

საბჭოს თავჯდომარის თქმით, ექსპერტების და დაწესებულების წარმომადგენლების პოზიციები გასაგები და ნათელი იყო.

საბჭოს თავჯდომარემ შეჯამების სახით, აღნიშნა რომ დაწესებულებამ და ექსპერტებმა ძალიან კარგად იმუშავეს ძალიან მოკლე ვადაში და ძალიან საინტერესო შედეგები დადეს, რაც ძალიან კარგი იყო, წარმატებები უსურვა დაწესებულებას და იმედი გამოთქვა რომ სხვადასხვა ფორმატებში აუცილებლად ექნებოდათ შეხვედრების შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 16:51 წუთზე.
საბჭოს სხდომა განახლდა: 16:58 წუთზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმისთვის 6 წლით ვადით ავტორიზაციის მინიჭების საკითხი, 1 წელიწადში ანგარიშის წარმოდგენის პირობით. ასევე, სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრა - 450 სტუდენტით.
საავტორიზაციო განაცხადის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე ავტორიზაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის

მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნაში არსებული შეფასება, მათ შორის გაცემული რეკომენდაციები და რჩევები.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 20
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 103-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმს მიენიჭა ავტორიზაცია 6 წლის ვადით, ერთი წელის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსით (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 450-ით.

2. შპ სქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ვიზიტის შედეგად შედგენილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და შესაბამის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აღნიშნულ დასკვნას და შესაბამის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. უსდ-ს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა მონიტორინგის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მთელი პროცესი განხორციელდა 2021 წლის 27-29 აპრილს ჰიბრიდული ფორმით, კორონავირუსით გამოწვეული შეზღუდვების გამო. ექსპერტთა ჯგუფის მოსამზადებელი და სხვა შეხვედრები, ისევე როგორც პრაქტიკულად ყველა ინტერვიუ ჩატარდა ონლაინ რეჟიმში. მაგრამ ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფის ზოგიერთი წევრი ფიზიკურად იმყოფებოდა თბილისში, მათ დაათვალიერეს GAU– ს ობიექტები და ასევე სხვა შესაბამისი ადგილები, რათა ენახათ თუ რამდენად იყო ეს ობიექტები GAU– ს

ოპერირებისათვის შესაფერისი. ეს ვიზიტები ექსპერტთა ჯგუფის დანარჩენი წევრებისათვის გადაიცემოდა ონლაინ. გარდა იმ დოკუმენტაციისა, რომელიც ჯგუფს მიაწოდა ვიზიტის დაწყებამდე, ჯგუფმა კიდევ გამოითხოვა რამოდენიმე დამატებითი დოკუმენტი უშუალოდ ვიზიტის დაწყებამდე და ასევე მისი მსვლელობისასაც. GAU-მ უზრუნველყო მათი წარმოდგენა. ამ გზით, ჯგუფმა მიიღო რაც შეიძლებოდა მეტი ინფორმაცია, რაც დაეხმარა GAU–სა და მისი ფუნქციონირების შესახებ მთელი სურათის მიღებაში. ჯგუფი მადლობას უხდის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელს, დავით ბურჯანაძეს, ყველანაირი მხარდაჭერისათვის ადგილზე ვიზიტიამდე, ვიზიტის დროს და მის შემდეგაც - ყოველივე ეს აღმოჩნდა ძალიან გამოსადეგი. სტანდარტები 1, 2, 4 და 7 სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო სტანდარტები 3, 5 და 6 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ჯგუფმა ჩამოაყალიბა რიგი რეკომენდაციები, რომელთა უმეტესობა უკავშირდებოდა საგანმანათლებლო პროგრამებს, სტუდენტთა მხარდაჭერასა და ინფრასტრუქტურის ელემენტებს. აღსანიშნავია ასევე, რომ უსდ ახორციელებს კარგად დამკვიდრებულ და კონტროლირებად ინდივიდუალურ, პერსონალიზებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. მნიშვნელოვანი ასევე, რომ ინსტიტუცია საკმაოდ კარგად გაუმკლავდა პანდემიის პერიოდს. ასევე აღსანიშნავია, რომ პანდემიის დროს სტუდენტებს აჩუქეს პერსონალური კომპიუტერები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში მედიცინის სკოლა ჩამოყალიბდა 2017 წელს, ხოლო დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანმ ასაგანმანათლებლო პროგრამამ განხორციელება დაიწყო 208-2019 წლებში. ამჟამად სტუდენტები ირიცხებიან მხოლოდ პირველ ექვს სემესტრში, სადაც ძირითადად ხორციელდება საბაზისო საგნები. წლების განმავლობაში მედიცინის პროგრამამ გააძლიერა თანამშრომლობა სამედიცინო დაწესებულებებთან, ასევე მოიზიდა მაღალკვალიფიციური კლინიკური პერსონალი. საყურადღებოა, რომ პროგრამის განხორციელების დაწყების ეტაპზე, მედიცინის სკოლაში სასწავლო პროცესში აქტიურად მონაწილოებდა სულ 20 პედაგოგიური პერსონალი, ხოლო მათი რიცხი დრეის მდგომარეობით 73-ს ასცდა, რაც მოწმობდა იმას, რომ სტუდენტთა კონტიგენტის ზრდასა და პროგრამის განხორციელების სხვა ეტაპებზე გადასვლასთან ერთად, პერსონალის რიცხი შესაბამისად იზრდება. საავტორო განაცხადის შეტანის დროს, დაწესებულება თანამშრომლობდა 12 სამედიცინო დაწესებულებასთან, ხოლო დღეს უკვე თანამშრომლობს 22 დაწესებულებასთან.
სამეცნიერო/კვლევით სტრატეგიასთან დაკავშირებით, რომელიც კონკრეტულად ეხებოდა სამედიცინო სკოლის განვითარების გეგმას, უნდა აღინიშნოს, რომ მედიცინის სკოლის სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმების განხორციელბის სტრატეგია ინტეგრირებული იყო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში, რომელიც თავის მხრივ მოიცავდა მედიცინის სკოლის ტრატეგიული განვითარების გეგმას. სტრატეგიული გეგმის აღნიშნული მოცემულობა ქმნ იდა პროცესების გააზრების შესაძლებლოას ზოგადიდან კერძოსკენ და პპირიქით. რაც ასევე კარგად ჩანდა მედიცინის სკოლის სამწლიანი განვითარების გეგმაში და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. უნივერსიტეტის დიდად აფასებს ამ თვალსაზრისით 1.2 კომპონენტის შეფასებისას ექსპერტთა დასკვნას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ სტრატეგიული პრიორიტეტები დამუშავებულია სტრატეგიული მიზნების, ამოცანებისა და ინდიკატორების დონეზე, რაც გეგმის უფრო კონკრეტული განხილვის შესაძლებლობას ქმნის. გეგმის, როგორც დიზაინის ისე მისი შინაარსი ლოგიკური და განუყოფელი ნაწილი იყო მედიცინის სკოლის სტრატეგია და მისი შესაბამისი აქტივობები, რომლებიც მომავალში მედიცინის პროგრამის და სკოლის სააკრედიტაციო ლოგიკის და მოთხოვნების შესაბამისი განვითარების პირობებში კიდევ უფრო კონკრეტულ სახეს მიიღებს მომავალი სამწლიანი და

ყოველწლიური სამოქმედო გეგმების შესაბამისად. შესაბამისად, დაწესებულება არ ეთანხმება ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ მოცემულ რეკომენდაციას.
რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია სრულიად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას კლინიკური სწავლების დროს მენტორის როლთან დაკავშირებით, თუმცა ამ მოსაზრების რეკომენდაციის სახით ფორმულირება პროგრამის განხორციელების დროსთან მიმართებით და სააკრედიტაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით ვერ იქნება გამართლებული, ვინაიდან უნივერსიტეტის მკაცრად გაცხადებული ფილოსოფია იყო, რომ ხარისხის უზრუნველყოფა და განვითარება, რაც იკითხებოდა უნივერსიტეტის როგორც სტრატეგიული განვითარების გეგმაში და შესაბამის სამოქმედო გეგმებში, ისე სხვა საუნივერსიტეტო რეგულაციებში და თავად პროგრამებში. სწორედ ამიტომ უნივერსიტეტის აღნიშნული საკიტხის თაობაზე ზრუნავდა როგორც ფორმალურად, ასევე პრაქტიკულად. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე არ იყვნენ მაღლკურსელების და საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით მიმდინარე სემესტრში ხორციელდებოდა მხოლოდ ერთი კლინიკური საგანი, ,,შესავალი კლინიკურ მედიცინაში I”. მედიცინის სკოლაშ შექნილია სპეციალური ფუნქციური ერთეული კლინიკურ ბაზებთან ურთიერთობის მენეჯერის სახით, რომელიც ხარისხის მართვის სამსახურთან ერთად ახდენს მონიტორინგს. გარდა ამისა, აღსანიშნავი, რომ კლინიკაშ შესაბამისი პრაქტიკის განხორციელების დროს სტუდენტის მიერ პრაქტიკის ხელმძღვანელი პირის ზედამხედველობით იწარმოებოდა დღიური, რომლის მეშვეობითაც, კარგად ჩანდა კლინიკური საგნის განხორციელების მთელი პროცედურა, მათ შორის ხელმძღვანელის როლიც, მაგრამ სამწუხაროდ, ვინაიდან ერთადერთი კლინიკური სგანის სწავლების პროცესი ჯერ არ იყო დასრულებული, მედიცინის სკოლამ ექსპერტთა ჯგუფს ვერ წარუდგინა მენტორის როლის დამადასტურებელი კიდევ ერთი მექანიზმი დასრულებული დღიურის სახით.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მედიცინის სფეროში აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის გათვალისწინებული იყო აუცილებელი მოთხოვნები იმისათვ ის, რომ მათ მისცემოდათ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების უფლება. აღნიშნული მოთხოვნების ასევე გათვალისწინებული იყო უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებში. კანონის შესაბამისად, აკადემიური და მოწვეული პერსონალი რეგულარულად უნდა გადიოდნენ ტრენინგ სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში, რაც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი სერტიფიკატით. გარდა ამისა პროფესორისთვის გათვალისწინებული იყო სულ მცირე 6 პედაგოგიური და ბოლო 9 წელი კლინიკური გამოცდილება.
რაც შეეხება საბიბლიოთეკო რესურსს, პროგრამის პირველი ექვსი სემესტრის სილაბუსებით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა, შესაბამისი რაოდენობების გათვალისწინებით უნივერსოტეტს ჰქონდა საკუთრებაში. ლიტერატურის შეძენა განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის წინ. რაც შეეხება მე-7-მე-12 სასწავლო სემესტრების ლიტერატურას, რომელზეც პროგრამას არ ჰაყვდა სტუდენტი, აღნიშNული ლიტერატურა სრული მოცულობით იყო შეკვეთილი და ექსპერტების ვიზიტის დროისთვის იმყოფებოდა ტრანზიტში, რის შესახებაც ექსპერტებს ბიბლიოთეკაში წიგნადი ფონდის დათვალიერების დროს წარედგინათ დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყველა კლინიკური საგნის სილაბუსშ ასახული იყო როგორც იმ პრაქტიკული უნარების ჩამონათვალი, რომელთაც სტუდენტი უნდა დაეუფლოს სწავლების პროცესი დასრულებამდ, ასევე ის სწავლების მეთოდები, რომლებითაც ამ უნარების გამომუშავება ხდება იქნება ეს პაციენტის საწოლთან სწავლება თუ ღამის მორიგეობა. პროგრამით გათვალისწინებული ყველა კლინიკური საგანი ხორციელდებოდა სამედიცინო დაწესებულებაში. აგრეთვე იმ საკვანძო საგნებში, სადაც პროგრამის შედეგების შესაბამისად განსაკუთრებული მნიშვნელობა

ენიჭებოდა პრაქტიკული უნარების დაუფლებას, ინტეგრირებული იყო სწავლა-სწვალები მეთოები, რომლებიც ასევე ხორციელდებოდა უნივერსიტეტის კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში.
რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას, აღნიშნული პრპგრამა ეფუძნებოდა პაციენტზე ორიენტირებული მედიცინის პრინციპებს, რომელთაგანაც ერთ ერთი უმთავრესი არის კომუნიკაციის უნარი. შესაბაბისად, კომუნიკაციის უნარის სწავლება ხორციელდებოდა ინტენსიურად პროფესიული განვითარების კურსების ფარგლებში, რომელიც სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იყო 1-12 სემესტრებში. მოცემული სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტები ეუფლებოდნენ კომუნიკაციას, როგორც სხვადასხვა ტიპის პაციენტთან, ასევე პაციენტის თავმდგომ პირებთან, კოლეგებთან, სამართალდამცავ ორგანოებთან და სხვა.
რაც შეეხება LO შეფასების შედეგებს, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციედლებოდა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული შეფასების მექანიზმების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენებოდა პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდოლოგია. პირდაპირი შეფასების მეთოდებია წერითი გამოცდა, ზეპირი გამოკითხვა, პროექტი, პორტფოლიო, თეზისი პრეზენტაცია, იმიტირებული პროცესი და სხვა. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამასთან მიმართებიტ ყველაზე ხშრად გამოიყენებოდა ინტეგრირებული ობიექტურად სტრუქტურირებული გამოცდა (OSCE) და კლინიკურ შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლება.
მე-10 რეკომენდაციასთან დაკავშრებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინსტიტუცია მედიცინის პროგრამისთვის აუცილებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის განსაზღვრის მიზნით იყენებდა ეგრეთ წოდებულ სრული დროის ექვივალენტის კანკულატორს, რაც იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ზუსტად დათვლილიყო რამდენი სრული დატვირთვით მომუშავე პერსონალი არის საჭირო.
რაც შეეხება რეკომენდაციას ომბუდსმენის დამოუკიდებლობის გაზრდასთან დაკავიშრებით, დაწესებულებაში ომბუდსმენის ინსტიტუტი ჩამოყალიბდა ერასმუს პროგრამის ფარგლებში. პროექტი ხორციელდებოდა საქართველოს, უკრაინისა და აზერბაიჯანის უნივერსიტეტებშ 3 წლის განმავლობაში. პროექტით გათვალისწინებული სხვადასხვა აქტივობების განხორციელების ერთ-ერთი ამოცანა იყო ომბუდსმენის თანამდებობაზე კანდიდატურის სწორად შერჩევა, მთავარი აქცებტი გაკეთდა იმაზე, რომ ეს არ უნდა ყოფილიყო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის და სტუდენტთა შემადგენლობიდან. განიხილებოდა ასევე უნივერსიტეტის გარედან თანამდებობაზე კონკურსის წესით პირის შერჩევის საკითხიც, მაგრამ ეს პრაქტიკა რელევანტური იქნებოდა დიდ უნივერსიტეტებში. საქმეთა რაოდენობიდან გამომდინარე, მაგრამა განცხადებების სიმცირის გამო მოცემულ თანამდებობაზე გარედად პირის შერჩევის საკითხი არ იქნა დაკმაყოფილებული. სწორედ ამიტომ, დაწესებულებაში არჩევანი გაკეთდა დამხმარე სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელზე, რომელიც უშუალოდ არ მონაწილეობს აკადემიურ პროცესებში, იცის უნივერსიტეტის ფილოსოფია, ხედვა, მისწრაფებები და შეუძლია იმ ღირებულებების რეალურად გატარება, რასაც აღიარებს უნივერსიტეტი.
რაც შეეხება უნივერსიტეტის ცხოვრებაში საერთაშორისო სტუდენტების ინტეგრაციის საკითხს, დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა მოსაზრებას იმ საკითხში, რომ უცხოელ სტუდენტთა საუნივერსიტეტო ცხოვრებაშ ინტეგრაცია სპეციფიურ მიდგომას საჭიროებს. უნივერსიტეტს აღნიშნული კარგად აქვს გააზრებული და ამიტომ ხშირად იყენებდა მეთოდს სტუდენტი სტიდენტებისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ უცხოელ სტუდენტთა ადაპტაციის პროცესში ყველაზე მნიშვნელოვან როლს ისევ თანატოლები თამაშბენ, ამ მიზნით უნივერსიტეტი ხშირად ატარებდა ერთობლივ პროექტებს.

საბჭოს თავჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრებს.

საბჭოს წევრმა, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა 24-ე რეკომენდაცია, რომელსაც დაწესებულება ნაწილობრივ ეთანხმება და დაინტერესდა თუ როგორ გეგმავდა დაწესებულება აღნიშნულის განხორციელებას.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ერთ-ერთ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი იყო უცხოელი პროფესორი, რომელიც ახორციელებდა ფართომასშტაბიან საქმიანობას კვლევის მეთოდებთან დაკავშრებით. გარდა ამისა, პროგრამაში ჩართული იყო ჰარვარდის პროფესორი, რომლის დახმარებითაც პროგრამას დაემატება კიდევ ოთხი ჰარვარდის პროფესორი. შესაბამისად, მოცემული მიმართულებით დაწესებულება უწყვეტად გეგმავს განვითარებას. ხოლო, რაც შეეხება ინტერნაციონალიზაციის დაჩქარებით განხორციელებას, ამ ნაწილში დაწესებულება არ ეთანხმება რეკომენდაციას.

საბჭოს თავჯდომარის თქმით, ექსპერტების და დაწესებულების წარმომადგენლების პოზიციები გასაგები და ნათელი იყო.

საბჭოს თავჯდომარემ შეჯამების სახით, აღნიშნა რომ დაწესებულებამ და ექსპერტებმა ძალიან კარგად იმუშავეს ძალიან მოკლე ვადაში და ძალიან საინტერესო შედეგები დადეს, რაც ძალიან კარგი იყო, წარმატებები უსურვა დაწესებულებას და იმედი გამოთქვა რომ სხვადასხვა ფორმატებში აუცილებლად ექნებოდათ შეხვედრების შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 18:15 წუთზე.
საბჭოს სხდომა განახლდა: 18:25 წუთზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის 6 წლით ვადით ავტორიზაციის მინიჭების საკითხი, 1 წელიწადში ანგარიშის წარმოდგენის პირობით. ასევე, სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრა - 2500 სტუდენტით.
საავტორიზაციო განაცხადის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე ავტორიზაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნაში არსებული შეფასება, კერძოდ, 5.2 ქვესტანდარტი შეცვალა და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 20
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე

მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 103-ე მუხლის შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტს მიენიჭა ავტორიზაცია 6 წლის ვადით, ერთი წელის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსით (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2500-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა 18:30 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
მოადგილე
ზარანდია თამარ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით